

კრედიტორი: სოლოლაკი, ბლის ქუჩაზე, მედიკინის სახლში, № 43

კანტორა კრედიტორის: მედიკინის სახლში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელი წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართლის, რუსულის, სომხურ ქუჩაზე.

უასი განცხადებები: კბით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ციქროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

კრედიტორს უფლება აქვს გაასწავლოს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

ცალკე ნომერი ღირს უაზრათ

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

პირველი ივლისიდან ვიდრე 1878

წლის პირველ იანვრამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მედიკინის სახლში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა—4 მან. და 50 კაპ.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газеты „Дროება“.

ტელეგრაფები

(ოფიციალური)

ბრძოლის ველიდან

ოქტომბერი, 1 ივლისს. ლენერალი ალ. ხაზოვი ორის კალონით გადავიდა მდ. ბალიზგაზედ და, თუმცა მტერი აქ გამაგრებული იყო, მაგრამ ჩვენმა ჯარმა განდევნა ის მოქვის იქით. ჩვენი ჯარის

ერთმა კალონამ დაიჭირა ბალიზგას მარჯვენა მხრივ ზუმის მთა და აქ დაბანაკდა. ჩვენის მხრით მოკლულია 1 და დაჭრილი 3.

ოქტომბერი, 2 ივლისს. მუხა-მსტატის ბანაკში მოვიდა ამბავი, რომ მსმალოს ჯარი მდ. აჩყუაზე გადმოვიდა; ამის გამო გუშინ გათენებისას პოლკოვნიკმა ქაზბეგმა წაიყვანა თან ექვსი როტა ორი მთის ზარბაზნით და ასი ცხენოსანი კაცი და წავიდა მუხა-მსტატედა ჩურუქ-სუსკენ ადგილების დასახელებათ. მსმალოს ჯარი გადავიდა მდინარეზე, შევიდა ტყეში, სადაც ამას გარდა იყო სხვა ჯარისკ არტილერიით, რომელსაც ზღვიდამ ჯავშნიანი ხომალდი იცავდა. მტერმა ვერ გაბედა წყალზე გამოსვლა და ჩვენი ჯარი, მცირე თოფის-სროლის შემდეგ, ისევ უკან დაბრუნდა უზარალოთ.

ლონდონი, 5 (17) ივლისს. მაზეთი

„Standard“, რუსის ჯარის ბალკანის მთებზე გადასვლის თაობაზე, ამბობს, რომ ინგლისს არ შეუძლიან გულ-გრილად უცქიროს რუსეთის ჯარების გამოარჯევბასა და განსაკუთრებით ინგლისი ვერ მოითმენს, რომ რუსებმა სტამბოლი დაიჭირონ.

ალექსანდრია, 5 ივლისს. 3,000 გენიტის ჯარი გაგზავნეს კიდევ აქედამ სტამბოლში.

ვიენა, 5 ივლისს. მაზეთს „Tagblatt“-ში იწერებინან ოდესიდან, რომ სეფასტოპოლის მახლობლად მსმალოს ოთხი ჯავშნიანი ხომალდი არის ზღვაში გაჩერებული.

ოქის აზვები

აზიის ბრძოლის ველიდან

ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph“ ში შემდეგი დებეშა დაბეჭდილი იმ შეტაკების თაობაზე, რომელიც რუსისა და

მწერლობა

ერთი მუჰა წიგნი, ათი მუჰა სულელობა, ანუ უ. მდივანოვის ანბანი

თუმცა მდივანოვის ანბანი არსებობს აგერ თოთხმეტ-თხუთმეტი წელიწადია, მაგრამ მისი წაკითხვა და გაცნობა მხოლოდ ეხლა მოვახერხე. იქნება ეხლაც ჩემთვის უცნობი დარჩენილიყო ეს შესანიშნავი ქმნილება, „დროების“ მედიკინის რომ ორიოდ თვის სიტყვით ამ ანბანის შესახებ არ ვაღვლიძებინა ჩემში სურვილი მისი გაცნობისა. ამერთმა აღდგომელს ეს მედლიურე და მიანიჭოს მათუალას წელნი! ძაი ხანია მე ისე გულით არ მიცინია, როგორც ვიცინე ამ წიგნის კითხვის დროსა. მკითხველს მე ხარხარით გულს ვაჯერებინებდი, უზენაესს რომ არისტოფანის ნიჭის ნატენი ჩემთვის ეწილადებინა. მაგრამ...

მაგრამ სიცილი მალე გადამიქცა სიმწუხარეთ, როცა მოვიგონე, რომ ეს სასაცილო, სამასხარაო და უგუნურებით ქავე წიგნი ამდენი ხანია იფინება ჩვენ

ხალხში და ეხლა მერვე გამოცემით დაბეჭდილია. შეიდ გასაღებულ გამოცემას ბევრი ზარალი და ენება უნდა მიეცა პატარა და დიდი ქართველების გიანებისათვის!...


ჩვენ, რასაკვირველია, მოზორებული ვართ იმ განზრახვას, რომ მდივანოვის ანბანი ვრცელათ გავარჩიოთ. ში მეტათ დიდი პატივი იქნება მისთვის. ჩვენ გესურს მხოლოდ გაკვრით ზოგიერთა მისი სასაცილო და უაზრო მხარეები გამოვავაშკაროთ საქვეყნოთა.

შ. მდივანოვს გაუგონია, რომ ანბანისათვის ახალი მეთოდი შემოიღესო. მოუწოდებია ფების ხმაზედ აყოლა. უფიქრნია: აქამდის მთელ ანბანს გაბმით, ერთ გაკვეთილათ ბეჭდადენენო; ამას ძველი მეთოდი ვრცელო. მოდი ანბანს სამათ გაეყოფ, თითო მესამედიდან ცალკე გაკვეთილსგაკვეთებდა ახალიმეთოდიქნებო.

ასე უფიქრნია და ასეც მოქცეულა: თავდაპირველად დაუბეჭდია ცხრა ასო რიგზედ (შ. ნათიევისათვის სამჯერ გადაუჭარბებია); მერე შეშინებია: ვაი თუ ბოლოს ასოები გამიწყურენ, წინა ასოები რაკაკები არიან, რომ თავს დაე-

ვისხი და ჩვენ კი მათ უკან მოკვავციეო,—აულია და სხვა რიგზედ, გადარეულათ დაუბეჭდია: ეხლაც დამედურებინათო! ში გახლავთ პირველი გაკვეთილი.

მეორე და მესამე გაკვეთილიც სწორეთ ასეა შედგენილი. აქის შემდეგ მთელი ანბანი სხვა და სხვა შრივით დაუბეჭდია გაბმით ჯერ რიგზედ, მერე გადარეულათ. საქმე გაუთავებია, მაგრამ ბოლოს რაღაც ეშმაკათ მოჰკონებია, რომ ახალ მეთოდით ასოების შემდეგ სიტყვებსა ბეჭდამენო. დაბრუნებულა ისევ უკანა და ხელახლათ დაუბეჭდავს ათი ასო; მაგრამ ეშმაკს კიდევ უცდენია და დაუფიქრებია იმაზედ, სიტყვები შეადგინოს ამ ასოებიდან, თუ პირდაპირ ფრაზები გააკეთოს. უფიქრნია, უფიქრნია და უეცრათ უსკუპნია; მაგრამ როგორი სიძარლით უსკუპნია! ძვემ გამოუვლია მარცვლები, მარტივი სიტყვები, რთული სიტყვები, ორ სიტყვიანი ფრაზები, სამ სიტყვიანი ფრაზები და პირდაპირ გადამხტარა ოთხ სიტყვიანი ფრაზებზედ. ღარა მშვენიერი ფრაზები შეუდგენია? აი ერთი მათგანი: „გოგო დანა გარეთ დადე“. მერე კიდევ ყოყმობაში შესულა: ვაი თუ



მსმალოს ჯარს შუა მომხდარა 15 ივნისს მსამხირესთან:

„მ ხ ა მ ჩ ი რ ე, 16 ივნისს. ბუშინ დილით აქ დაიწყო გაცხარებული ბრძოლა. რუსები რამდენჯერმე დაცნენ ამპატორა ქალაქში დაბანაკებულ მსმალოს ჯარსა. თუმცა მსმალოები სრულებით არ მოელოდნენ ამ თავს-დასხმას, მაგრამ მაინც მარჯვედ დახვდნენ მტერს; განსაკუთრებული მხნეობა გამოიჩინა იმ ჩერქესის ვოლონტერების პოლკმა, რომელიც ხონთქარმა თავის ხარჯით გამოგზავნა აქეთკენ. შექველია, რომ მსმალოები დამარცხებული იქნებოდნენ, რადგან რუსების მხრით ერთი-ორად მომეტებული იყვნენ რიცხვით, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა ზღვაში მსმალოს ხომალდები და იმათ ზარბაზნების ყუმბარებმა უკუ-აქცია რუსის ჯარი. მსმალოს მხრით 500 კაცია დაჭრილი და მოკლული, რუსებისკენ კი ერთი-ორად მაინც იქნება.“

ამავე გაზეთში ბათუმიდამ იწერებინა, რომ გადავიდა თუ არა მდ. ტინტრიშზე ბათუმის ჯარის უფროსი ღერვიშ-ფაშა დენერალმა აკლობაძემ იმ წამსვე თავის ჯარებით უკანვე დაიწია და იმავე ალაგას დაბანაკდა, სადაც ომის გამოცხადების შემდეგ მეორე დღეს იყო დაბანაკებული.

მრთს რუსულ გაზეთში („Новое Время“) დაბეჭდილია შუბანის მახრიდამ მიღებული შემდეგი კორრესპონდენცია:

„ამ ივნისის პირველ რიცხვებში აქეთკენ, მაიკოპის უფლებში, შაჟის ზღვის ნაპირებზე ბაგრასა და სოჩას შუა დასახლებული რამდენიმე ასი ოჯახი გადმოესახლა. ამ გადმოსახლების მიზეზი ის იყო, რომ ამათ შეეშინდათ ადღერთან

ათი ასო ერთ გაცვეთილათ მეტი იყოს ბავშვებისათვისაო, ამდგარა და ახლა ცხრა ასო დაუბეჭდია მეორე გასაკვეთათ; შემდეგ ცხრა ასო ბევრათ სჩვენებია და შეიღი ასო დაუწინაგას გასაკვეთათა; ამასთან ოთხ სიტყვიანი ფრაზები ძნელათ მოჩვენებია და ამისთანა მშვენიერი სამ სიტყვიანი ფრაზები შეუკერნია. მერე მოდი წერე (*). ბოლოს შეიღი ასოც ბევრათ სჩვენებია და ექვსი ასო დაუბეჭდია გასაკვეთათა და ფრაზებიც შეუმოკლებია ორ სიტყვამდის.

ანბანის ბოლოს მოუყენია ამ გვარი კანონიერი ფრაზები: ბოლმა თვალები დამწო (დამწვას მაიგრად); გოჭი ძალიან ჭყავის (ჭყვირის მაგივრად; ტურამ ქათამი მოიპარა (მერვე მცნება დაურღვევია, ამ შეჩვენებულსა); სალომეს ტუჩი დაეწო (დაეწვას მაგივრად). ამ ფრაზებით გაუთავებია უ. მდივანოვს თავისა ახირებული ანბანი, რომელშიაც ყველაფერი ძნელი წინეთ არის მოქცეული და ადვილი უკანა.

წერის ნიშნებს ჩვენ არა ვცვლით არსად, რომ მკითხველმა დაინახოს მტკბარი უმეტრება იმათ ხმარებაში მდივანოვისა.

გამოსულის მსმალოებისა და სოხუმში გამოსულის აბხაზებისა. ამ თვის 3-ს რამდენიმე ჩერქესი ნახეს აქ მთებში, ბელიჩინსკის ხევათან დაბანაკებულიყვნენ თავიანთ ცხვრის ფარებით; ასი ყაზანი რუსი დაედგინა ამ ჩერქესებს და ნიმათგანი დაიარაღებულები დაიჭირეს და წაართვეს ცხვრის ფარები.

როცა მსმალოებმა სოჩას ზარბაზნები დაუშინეს და ადღერთან გამოვიდნენ ხმელეთზე, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დამალეს ტყეებში რაც რამ ნივთები გააჩნდათ და თვითონ კი თავკასიის მთებისაკენ გამოიქცნენ. თვითონ ეს გამოქცეული მცხოვრებლები უყურებდნენ თურმე გორებიდამ, როცა ზღვიდამ გამოსული მსმალოები მოედნენ მიტოვებულ სოფლებსა და გამოჰქონდათ იქილამ რაც კი რამ სასმელ-საჭმელი ანუ საჭირო ნივთი დაეტოვებიათ.

მოკეტებული ნაწილი ამ გამოქცეულებისა არიან: რუსები, ბერძენები და ბოლგარიელები.“

ბერლინის ტელეგრაფის „აგენტობა პოლფისა“ აცხადებს შემდეგ ამბავს პეტერ ურდიდამ მოსულს 25 ივნისს:

თავკასიის სამი რუსის ატრიადის უკან დაწევა სრულებით იმას არ მოასწავებს, რომ ვითომც რუსებს, როგორც ზგიერთები ამტკიცებენ, თავკასიის ხალხების არეულობის ეშინოდესთ. ხსენებულ ჯარებმა მხოლოდ იმიტომ დაიწიეს უკან, რომ ახლა ნახეს, რომ ეს ჯარები არ იკმარებს მსმალოების საწინააღმდეგოდ, რომელთაც მცირე აზიაში დიდძალი ჯარები ჰყავთ.“

სტამბოლიდამ სწერენ ერთს ნემენცურს გაზეთში, რომ არზრუმის მთავრობა და მათში იქაური ყადი (მსაჯული),

ანბანს მისდევს საკითხავი სტატები. პირველ სტატიას უჭირავს ბავშვებისათვის მთელი შეიღი გვერდი. მაშ რამდენიც უფრო ძნელი დასაძლევია იქნება, იმდენს უფრო დიდ ბუძნათ ჩასთვლიან ისინი უ. მდივანოვსა.

შინაარსი კიდევ უფრო საყურადღებოა სივრცეზედ. ამ შეიღ გვერდზედ ბავშვი ჯერ სთვლის სხვა ბავშვების ცულ-ყოფა-ქცევასა, საქაგლობასა, ამბობს რომ იმათ ღმერთი არ უყვართ, ეკლესიაში არ დადიან, არ ლოცულობენო; მემრე თავის თავს ქებას ეუბნება: მე ესრეთი და ესრეთი კარგი ბიჭი ვარო, ღმერთი ძალიან მიყვარსო, ეკლესიაში მუდამ დავდივარო, ისეთ ნაბიჯს არ გადავადგამ, რომ ლოცვა არა ვთქვაო. ბავშვს მოჰყავს ლოცვები, რომელიც იგი ხმარობს სხვა და სხვა დროს და რომელიც უმეღენილი არიან თვით უ. მდივანოვისაგან. მტყობა, რომ მდივანოვი თავის თავს წმინდა მამათა შუა რიცხავს.

მკითხველი მიხედება, რა ახირებულიათ უნდა იყვნენ შემდგარი ეს ლოცვები ახლათ გამომცხვარ წმინდა მამისაგან.

რომლებიც რუსების მიხსლოცებაზე გადავიდნენ მრზიჯანში, ეხერხებოდნენ დენენ. ამასთავე მობტენდნენ რუსებიცაო.

რუსულ გაზეთს „Голосъ“-ში მოყვანილია ერთ ინგლისურ გაზეთიდან არზრუმიდამ მოსული ამბავი, რომ ამბოლოს დროს მსმალეები იპარჯებენო მცირე აზიაში. რუსები უკან დაბრუნდნენო, მსმალეები მისდევნენ უკანაო, ჯარი ამათ თან-და-თან ემატებათო.

სტამბოლში გავრცელებულია თურმე უსაფუძვლო ხმა, რომ თავკასიაში საშინელი არეულობა არისო. მუხთარ-ფაშა სწერდა, რომ მივიდა შარიდან სარიყამიშადინ. მსმალეთის სამხედრო მინისტრმა შეატყობინა თავის სხვა და სხვა ქვეყნებში მყოფ ელჩებს, რომ ჩვენი ჯარის წინამძღვარებისაგან მცირე აზიაში მოდის ამბებო, რომ რუსები დავამარცხეთო და გავნდევნეთ სარყამიშიდამ. მუხთარ-ფაშა თავისის მთავარი ჯარით წინ წავიდაო. ალაშქრეთის დივიზიამ, რომელიც ეხლა დაბანაკებულია შარაშილისში, რუსები სრულიათ დამარცხაო, და ბევრი ზარალიც მისცა რუსებსაო ასე, რომ 700 ფურგული დაჭრილებით სავსე წაიღესო.

მეზოპის ბრძოლის ველიდამ

ბუხარესტიდამ სწერენ ერთ ინგლისურ გაზეთში, რომ ზიზნიცასთან 120,000 რუსი გადავიდა თავისი უშველებელი არტილერიით და კავალერიით. მსმალე-

მოგვყავს ერთი ლოცვა ნიმუშათაო. „ზმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რომ მომეც მე საზრდო, ღმერთო, ნუ მოაკლებ შენ გაჩენილებს (?) საზრდოს. ღმერთო როგორც დღეს ჩემთვის საზრდო, საჭმელ-საშმელი და ტანსაცმელი ჩემ დედ-მამის კეთილის შრომით ამოვიწე და იმათაც მე მამცეს (რა?), გვედარები, რომ ეგრეთვე ყოველ დღე მომეც (რა?) მე მინამ პატარა ვარ და როცა მოვიზარდო შემეწიე, რომ ჩემის შრომით ვიზოვნო (რა?). მოეც (რა?) აგრეთვე ჩემ დედ-მამასაცა და ყოველსულდგმულსაცა (მაგალითად გველსა, კალიასა, ტილსა, რწყილსა, ჩრჩილსა?), ნამეტნავათ თუ შეუძლებელია ვინმე, წერილი ყმაწვილებიცა ჰყავს ან ავთამყოფი ვინმე და იმათ სამყოფ საჩიოხ ვერა მოულობს.“

ამ უშველებელ პირველ სტატიას ზედვე, უსათაუროთ, მიბმული აქვს, მეორე სტატია, რომელშიაც უ. მდივანოვი ცდილობს დაუმტკიცოს პატარა ბავშვსა, რომ თუ იგი შრომას არ გასწევს, მუცელი ცარიელი ექნება ტანთ-შიშველი და უსარჩოოთ მოკვდება. ჩანაირი

საქართველო

საზოგადოებრივი ლიური

ბის მოწინავე ჯარი დგას იანტრასთან, შუა ჯარი დგას რაზკრადთან; მარჯვენა მხარის ჯარი ჰუარავს რუსჩუკს, მარცხენა კი შუმლისკენ; სილისტრიაში მარტო 12,000 კაცი ჰყავთ მსმალეებსაო.

ვენის გაზეთში იწერებიან, რომ მსმალეებს თავიანთ შესანიშნავ ოთხ-კუთხედში (სილისტრიაში, მარნასა, შუმლასა და რუსჩუკს შუა) ბულგარიაში 165,000 კაცი ჰყავთო. იმავე გაზეთში იწერებიან ძლადოვადამ, რომ ბევრი ინგლისის აფიცრები მსმან-ფაშის წინამძღოლობის ქვეშ მართავენ ჯარს მილდინის ახლოს.

ინგლისის გაზეთს „Daily News“-ის კორესპონდენტი ლუნიდამ იწერება, ამბობენო, რომ ამას წინათ რუსეთის იმპერატორს ულაპარაკნია ინგლისის სამხედრო აგენტთან პოლკოვნიკ შელე-სლოვისთან სხვა-და-სხვა პოლიტიკურ საგნებზე და, სხვათა შორის, უთქვამს, რომ შეიძლება, ომის საჭიროების გამო, ჩვენმა ჯარმა სტამბოლი დაიჭიროსო, მაგრამ ეს იმას კი არ მოასწავებსო, რომ ჩვენ სტამბოლის სამუდამო დაპყრობის განზრახვა გვექნაღესო. ჩვენ დავეჭვრით სტამბოლს დროებით და იმ ჰაზრით, რომ მსმალეები დავითანხმოთ ჩვენს პირობაზედ, ე. ი. ბოლგარიის განთავისუფლებაზედ. „თუ ინგლისს არ ჰსურსო, სთქვა ხელმწიფემ, რომ ჩვენ სტამბოლი დავიჭიროთ, იმას შეუძლიან უჩრბოს მსმალეთს დათანხმდეს იმ პირობაზე, რომელსაც ჩვენ წარუდგენთ,

როდესაც აღრიანოპოლს ავიღებთ.“

ამავე გაზეთის კორესპონდენტი იწერება რუსჩუკიდან: აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ ოსმალოები შუმლაში აგროვებენ უმთავრესს თავის სამხედრო ძალას და განზრახვა აქვთო, რომ როცა რუსები ბალკანზე გადასვლას მოინდომებენ, მაშინ გვერდიდამ დაეცნენ იმათაო. ამას გარდა მე გავიგონეო, ამბობს იგივე კორესპონდენტი, რომ ლუნიის არმიის მთავარ-სარდალს აბდულ-შერიფ-ფაშას განზრახვა აქვსო, ბოლგარიის ციხეებიდამ გამოიყვანოს გაწრთენილი (რეგულიარული) ჯარი ბრძოლის ველზე რუსებთან შესაბამელათა და ამ ციხეებში კი მილიციები უნდა დააყენოსო.

მრთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან, რომ რუსებს თავიანთი უმთავრესი სამხედრო კვარტირა ტრნოვოში გადააქვთ და ამ ქალაქის ახლო-მანლო ალაგებში მალე დიდს ბრძოლას მოელოან, როგორც კი რუსები საკმაოთ ჯარს გამოიყვანებენ ლუნიზე; ამბობენ, რომ რუსჩუკსა და სილისტრიას შუა რუსები კიდევ ერთს ხიდს აკეთებენ ლუნიზე და განზრახვა აქვთ, რომ აქეთვე თავიანთ ჯარები გადაიყვანონ ბოლგარიაშიო.

25 ივნისს, ლუნიზე რუსის ჯარის გადაყვანის დროს, სხვათა შორის, ერთი ჩვენი ქვეყნის აფიცერი არტილერიის ბრავალის შტ.-კაპ. პაბიევი მოუტკლავთ.

ხელოვნებით არის დაწერილი ეს სტატია, გვიჩვენებს პირველივე სტრიქონები: კაცები (დედაკაცები?) და მთელი ქვეყანა ღმერთმა გააჩინა. ძალი შიშველი ყო, შრომით და ჯაფით ტანსაცმელი იშოვა, პური არა ჰქონდა და პურიც მოიყვანა. ამ მეორე სტატიას მისდევს მთელი საეკლესიო ლოკვანი (თავის ლოკვანი ხომ წინეთ დაასწავლა ბავშვსა), რომელიც ბავშვმა ზეპირათ უნდა ისწავლოს. ლოკვანის შემდეგ მოქცეულია ახსნა მამაო ჩვენოსი და ათი მცნებისა. ბევრგან ეს ახსნა არამტრუ არავითარს ახსნას არ შეიცავს, არამედ მოკლებულია ყოველ ჰაზრსა გრამატიკულსა და ლოლიკურსა. აი ამის მაგალითი: „არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამითა (?) ვთხოვთ: დაგვხსენ (?) ჩვენ ყოველი ბოროტი და შეცოდებითი საქმეებისაგან (??) და მანისაგან უხილავი მტრისა“. მეორე მაგალითი: „მეთე მცნებით ღმერთი გვიკრძალავს ჩვენ, რომ რაც კი ჩვენ ამხანავს (ამხანავსა? სხვასა?) აქვს, არც ერთ იმის ქონებაზედ (როგორი ქართულია) ჩვენ თვალს არ უნდა გვეჭიროს.“ თვალის

დაქვრა სხვის საქონელზედ ყურის გდება და კეთილ საქმეს შეადგენს; ჩვენი წმინდა მამა კი გვიმტკიცებს, რომ ეს კეთილი საქმე ღმერთმა ჩვენ აგვიკრძალა მეათე მცნებითაო. ამ სამაგალითო ახსნას არ დაუვარდება არას მხრით განმარტება შეიღთა საიდუმლოთა, რომელიც მას მოსდევს წიგნში. აი, მაგალითად, როგორა მარტავს ჩვენი წმინდა მამა ნათლის-ღებასა: „ნათლის ღება არის სამჯერ გავლება ყმაწვილისა წყალში.“ მდივანოვის ჰაზრით ნათლის ღების დროს ყმაწვილი ყოფილა ჩურჩხელა, რომელიც უნდა გაეწლოს თათრას მაგივრად წყალში). ბულება რისთვისაო? „მანსაწმენდელად პირველ-შობილი ცოდვისაგან — ადამისა (რა შეთანხმებაა სიტყვისა!), რომელიც (ადამი?) დაბადებულგანვე დაგვეყვებო. იმდენი გრამატიკული შეცდომაა, რამდენიც სიტყვაა, და ერთი უშვერი ლეღიეური უაზრობა: მდივანოვის სიტყვებიდგან გამოდის, რომ პირველ-შობილი ცოდვა ჯერეთ დაყოლილი არა გვაქვს და შემდგომში დაგვეყვება ჩვენ. უფრო უშვერი რელიგიური უაზრობა

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ თფილისის ძალაქის ზამგეობას გადაუწყვეტიათ, რომ ძალაქის თეატრისათვის იყიდოს უფ. ნ. ზუბალოვის ადგილი, რომელიც სამხედრო სასამართლოს გვერდით მდებარეობს ბულგარზე. ამბობენ, ამ ადგილში ქალაქი 130, 000 მანეთს აძლევსო.

* * ჩვენ მოგვივიდა სურამიდან ამბავი, რომ წელს საზაფხულოთ იქ იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ უბრალო ქობიკ აღარ დარჩენილა გაუქირავებელი და დიდ ფასსაც იღებენ სახლების პატრონებიო.

* * იქიდანვე გვატყობინებენ, რომ ამჟამად აქ საშინლად გავრცელებულია ყმაწვილის ავთამყოფაო, ისე სახლს ვერ ნახავო, რომ თითო-ორი ყმაწვილი არ იწვეს ლოგინში; ბევრიც იხოცებიანო.

* * მუთისიდან გვეწერენ, რომ წელს აქაურს გიმნაზიაში 16 ყმაწვილმა კაცმა შესარულა სწავლაო; ამათში 5 ქართველი არისო, 5 რუსი, 4 სომეხი და 2 ურია.

* * სომხურ გაზეთს „მშაკში“ პარიქიდან იწერებიან, რომ ამ მოკლე ხანში იქ გადაცვლილა ერთი სომხის მწიგნობარი და მწერალი სარქის ვართაპეტი.

* * ლევანდელ ნომერში მკითხველი წაიკითხავს გარჩევას უ. მდივანოვის ან-

მოსდის ჩვენ წმინდა მამას ზიარების განმარტებაში: მისი ჰაზრით პური და ღვინო ძრისტეს სისხლად იქცევიან ხოლმე მიღების შემდეგ ჩვენს მუცელში.“ — არა გჯერათ? მოიხსინეთ: ზიარებას ვიღებთ ჩვენ იმ ჰუმარიტების დარწმუნებით, რომ ეს (პური და ღვინო) სწორეთ იმ ხორც-სისხლად გადაიქცევა, რომელიც უფაღმა ჩვენმა შესწირა ჯვარზედ ჩვენის ცოდვებისაგან დახსნისათვის.“ საზოგადოთ ჩვენ წმინდანს სრულიად არ ესმის, რასა ჰქვიან საიდუმლო. ის საიდუმლოს ეძახის იმ გარეგან მოქმედებათა, რომელთაც მღვდელი ასრულებს და რომელნიც ყველასათვის სახილველი არიან; იმას სიზმრათაც არ მოსჩვენებიან, რომ საიდუმლო, ქრისტიანულის სწავლის თანახმად, ჰქვიან იმ უხილავ მოქმედებას სულის წმინდისა, ანუ მადლსა, რომელიც, ადამიანთა შეუმჩნეველათ, ახდენს ცვლილებას იმ პირში, რომელზედა სრულდება საიდუმლო.

(დასასრული შემდეგ №-ში)

